ხელშეკრულება №01/10/34
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 16 აპრილი 2015 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მერიის ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი) მისი დირექტორის თემურ თორდინავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „დეა კოსმეტიკს" (შემდგომში – მიმწოდებელი) დირექტორის მაილ ალიევის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „გამარტივებული შესყიდვის,გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის I პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-სათვის CPV 39800000 საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 ხელშეკრულების ობიექტია: შესყიდვის ობიექტის სრული აღწერა რაოდენობებითა და ერთეულის ფასებით მოცემული ხელშეკრულების დანართში (ხარჯთაღრიცხვა 1 გვერდი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განსაზღვრულია ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **314.98** (სამასთოთხმეტი ლარი და ოთხმოცდათვრამეტი თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილია - ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს აპარატის უფროსი მაკარ მაკარიძე.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
6.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული სამსახური.
13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდვალი

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. №30
ს/კ: 404905475
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

სააგენტოს დირექტორი
თემურ თორდინავა

მიმწოდებელი

შპს „დეა კოსმეტიკს“

მის: ქ. თბილისი, ალმასანიას ქ. №29ა
ს/კ: 406051258
ს/ს „საქართველოს ბანკი“
BAGAGE22
ა/ა: GE79BG0000000710009900

დირექტორი
მაილ ალიევი

2014 წლის 16 აპრილის №01/10/34 ხელშეკრულების დანართი №1

ხელშეკრულების ობიექტი

N	დასახელება	ზ/ე	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ეარვიკი ჰაერის გამწმენდი არომატული აეროზოლი „ჩანჩქერის სისუფთავით“ 240 მლ	ცალი	1	4.45	4.45
2	ეარვიკი ჰაერის გამწმენდი არომატული აეროზოლი „მწვანე ატამი“ 240 მლ	ცალი	5	4.45	22.25
3	ეარვიკი ჰაერის გამწმენდი არომატული აეროზოლი „ხელის სიგრილე და იასამნის სიმხნევე“ 240 მლ	ცალი	2	4.45	8.90
4	გლეიდი ჰაერის აეროზოლიყვავილის ფურცლის სინაზე 345 მლ	ცალი	2	5.25	10.50
5	პრონტო ავეჯის საწმენდი აეროზოლი ფუტკრის ცვილით	ცალი	4	8.45	33.80
6	პრონტო ავეჯის საწმენდი აეროზოლი ანტიმტვერი/ანტიალერგენი, ორი სახეობა	ცალი	4	8.45	33.80
7	ფეირი წყლის ლილია&ჟოჟობა 1ლ	ცალი	2	6.60	13.20
8	ფეირი ალოე და ქოქოსი 1ლ	ცალი	2	6.60	13.20
9	ფეირი აბრეშუმი და ორქიდეა 1ლ	ცალი	2	6.60	13.20
10	არიელი თეთრი ვარდი 10X1.5	ცალი	3	9.80	29.40
11	IDEAL აბაზანის საწმენდი საშუალება /750ML*12	ცალი	4	4.39	17.56
12	IDEAL ტუალეტის საწმენდი საშუალება WHITE / 750 ML*12	ცალი	4	3.29	13.16
13	IDEAL ტუალეტის საწმენდი საშუალება YELLOW / 750 ML*12	ცალი	2	3.29	6.58
14	IDEAL ტუალეტის საწმენდი საშუალება GREEN 750	ცალი	2	3.29	6.58
15	ბრეფი აქტიური ძალა. ლიმონი 51 გ (10)	ცალი	4	4.10	16.40
16	კლონი ვაშლი ფანჯრის საწმენდი სითხე 500მლ	ცალი	4	6.20	24.80
17	კლონი ფანჯრის საწმენდი სითხე 500მლ ფორთოხლის	ცალი	4	6.20	24.80
18	ბრეფი კუბი 2*50 გრ. უნიტაზის საწმენდი	ცალი	4	5.60	22.40
საერთო ღირებულება 314.98 (სამასთოთხმეტი ლარი და ოთხმოცდათვრამეტი თეთრი) ლარი					

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“
საიდენტიფიკაციო კოდი № 404905475

დირექტორი

_____ თემურ თორდინავა

მიმწოდებელი:
შპს „დეა კოსმეტიკს“

ს/კ: 406051258

დირექტორი

_____ მაილ ალიევი